

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

ბრძანება N

14 ნოემბერი 2014 წ.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ:

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის (მუხლი 22-ე პუნქტი 1 და მუხლი 45-ე), სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების (მუხლი-14 მე-6 ქვეპუნქტი და მუხლი- 38) , საქართველოს მთავრობის N 64 დადგენილების (მუხლი მე-6 „გ“, „ს“, „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები) და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან (ორი ფაკულტეტი) სტუდენტთა თვითმმართველობის საბჭოში არჩეულ იქნეს 5(ხუთი) წარმომადგენელი მწვრთნელთა და 3(სამი) წარმომადგენელი ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტიდან , სულ 8 წევრი;
2. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების შესაბამისად, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საარჩევნო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

3. არჩევნების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 24 დეკემბერი;
4. ფაკულტეტის დეკანმა შეადგინოს ამომრჩეველთა ერთიანი სიები ყველა სტუდენტის მონაცემების მითითებით (გვარი, სახელი, სპეციალობა და ფაკულტეტი). აღნიშნული სიების მომზადება და საარჩევნო კომისიისთვის გადაცემა განხორციელდეს არაუგვიანეს 2014 წლის 5 დეკემბრისა.
5. არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება 15 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით, საბუთების რეგისტრაცია 20-21 დეკემბერს მისამართზე : თბილისი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პირველი სართული, ოთახი- 115.

5. არჩევნები (კენჭისყრა) ჩატარდეს 2014 წლის 24 დეკემბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10 საათზე და მთავრდება 17 საათზე),

6. საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

7. ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მ/შ, პროფესორი

ჯ. ძაგანია

